

## **კომპოზიციური და კომპოზიტური ფორმებისათვის**

უცხო წარმომავლობის ფუძეთაგან დერივაციული წარმოება მსესხებელ ენაში ერთ-ერთი აქტიური ენობრივი პროცესია. ქართულში ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ზედსართავთა **-ურ** (**-ულ**)-სუფიქსიანი წარმოება. მნიშვნელოვანია, რომ უცხო წარმომავლობის ფუძეთაგან სწორედ **-ურ(-ულ)** სუფიქსით ფორმდება აღმნიშვნელ ტერმინთა უმრავლესობა.

ზედსართავების ენობრივი ადაპტაციის საკითხი ქართულ ენაში კარგად არის შესწავლილი. მაგრამ ჩნდება ცალკეული შემთხვევები, რაც დამატებით კვლევას საჭიროებს. განსაკუთრებით საყურადღებოა ფორმით მსგავს სიტყვათა მორფოლოგიური გაფორმება და მათი მნიშვნელობის დაზუსტება. სირთულეს ქმნის ის, თუ რას წარმოადგენს ფორმოზრევად მსგავსი ტერმინები მსესხებელ ენაში: პარინიმული წყვილია თუ – ერთ-ერთი მათგანი არასწორადაა გაფორმებული. ვგულისხმობთ ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა: **დეკორატიული** და **დეკორაციული**, **კრიზისული** და **კრიტიკული**, **გენეტიკური** და **გენეზისური**, **კორპორაციული** თუ **კორპორატიული**...

ქართულში უცხო წარმომავლობის ფუძეთა მორფოლოგიური გაფორმებისათვის ამოსავალია წყაროენის ფორმა, რომელსაც დაერთვის დერივაციული აფიქსი (არ აქვს მნიშვნელობა წყაროენაში სიტყვის მორფოლოგიურ კვალიფიკაციას, არსებითი სახელია ის თუ – ზედსართავი). **-ურ(-ულ)**-სუფიქსიანი ფორმებიც, როგორც აღვნიშნეთ, ამ წესს მიჰყვება, მაგალითად, **რეზონანსი** → **რეზონანს-ულ-ი**, **რეპროდუქცია** → **რეპროდუქცი-ულ-ი**, **ტეტრაედი** → **ტეტრაედ-ულ-ი**, **ეტალონი** → **ეტალონ-ურ-ი**... ჩანს, რომ ეს წესი ძალიან მარტივია და ზედსართავთა გაფორმების აღნიშნული ყალიბი მიესადაგება ქართულში არსებულ და დამკვიდრებულ ნორმას.

ქართულში ნასესხებია ზედსართავები **კომპოზიციური** და **კომპოზიტური**, რომლებიც სხვადასხვა სახელისგანაა ნაწარმოები, კერძოდ, **კომპოზიცია** → **კომპოზიციური**, **კომპოზიტი** → **კომპოზიტური**. ეს ორი ზედსართავი სახელი სხვადასხვა შინაარსითაა ქარ-

თულში დამკვიდრებული. კარგად არის ცნობილი მნიშვნელობა ზედსართავი სახელისა **კომპოზიციური**, რომელიც ძირითადად **კომპოზიციას** უკავშირდება (მისი თავდაპირველი მნიშვნელობა ხელოვნებათმცოდნეობას მიემართება). **კომპოზიცია**: 1. მუსიკალური ნაწარმოების შექმნის, აგების თეორია. 2. ლიტერატურაში და სახვით ხელოვნებაში – ნაწარმოების მხატვრული აგებულება, ცალკეული ნაწილების ურთიერთშეფარდება. **კომპოზიციური**: კომპოზიციის შესახებ, კომპოზიციის დამახასიათებელი. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ **კომპოზიციის** ერთ-ერთი მნიშვნელობა ტექნიკასთანაა დაკავშირებული. ეს მნიშვნელობა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში არ არის გათვალისწინებული, მ. ჭაბაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონში კი **კომპოზიცია** სხვადასხვა ლითონის შენადნობს აღნიშნავს. ზედსართავი სახელი **კომპოზიციური** სწორედ ამ მნიშვნელობით (ლითონის შენადნობი) წარმოდგენილია ტექნიკურ ტერმინოლოგიასა და ბევრ სხვა ლექსიკონში. სიტყვა **კომპოზიციურის** დასახელებული მნიშვნელობა სამეცნიერო ლიტერატურიდანაც ცნობილია. მისი გამოყენების სფერო ძალიან ვრცელია. ქვემოთ წარმოვადგენთ იმ კონტექსტებს, რომლებშიც **კომპოზიციური** ნარევი ლითონებთან დაკავშირებულს ნიშნავს. მაგალითად:

**კომპოზიციური** მასალები ფართო გამოყენებას პოულობს თანამედროვე მრეწველობაში;

წყალქვეშა ნაგების კონსტრუქცია დაიხვეწა. დღეს მათ კორპუსებს **კომპოზიციური** მასალებისგან ამზადებენ;

მრავალსართულიანი რკინაბეტონის კარკასული შენობის მშენებლობა, რომელიც მოპირკეთებული იქნება ალუმინის **კომპოზიციური** პანელებით...

ძველ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში **კომპოზიციურის** თავდაპირველი მნიშვნელობა ლითონის შენადნობს უკავშირდება. 1977 წელს გამოცემულ ტექნიკურ ტერმინოლოგიაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ ეს ფორმა დასტურდება. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში კი მოცემულია სიტყვა-სტატია **კომპოზიციური მასალა**, რომლის მნიშვნელობაც გაცილებით ფართოა, ვიდრე სხვადასხვა ლითონის შენადნობი.

უფრო მოგვიანებით ენაში ჩნდება **კომპოზიტური** ფორმა, რომელიც, ბუნებრივია, მომდინარეობს სიტყვისგან – **კომპოზიტი**. ლექსიკონებსა თუ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ორი ზედსართავ-

ვი – **კომპოზიციური** და **კომპოზიტური** – ერთმანეთს ჩაენაცვლა და მოხდა მათი მნიშვნელობების აღრევა, ე. ი. ეს ზედსართავები პარონიმებად იქცა. როგორც ჩანს, მათი აღრევის შემთხვევები სხვა ენებშიც დასტურდება, მაგალითად, რუსულში ერთმანეთის გვერდით გვაქვს **композиционный** და **композитный**. ამ ზედსართავებს ზოგი სინონიმებად მიიჩნევს, ამიტომაც ირევა ერთმანეთში.

ზედსართავები **კომპოზიციური** და **კომპოზიტური** ყველაზე ხშირად სამშენებლო ტერმინოლოგიაში გამოიყენება. ამდენად, საინტერესოა, თუ როგორ განმარტავენ მათ სამშენებლო განმარტებით ლექსიკონში. ამ ლექსიკონში **კომპოზიტური მასალა** (კომპოზიტები) ასეა განმარტებული: ხელოვნურად შექმნილი არაერთგვაროვანი უწყვეტი მყარი მასალა, რომელიც შედგება ორი ან მეტი კომპონენტისაგან, რომლებიც ზუსტი საზღვრებითაა ერთმანეთთან დაკავშირებული... ლექსიკონში დაწვრილებით არის აღწერილი, თუ რას წარმოადგენს **კომპოზიტური მასალა**, ანუ კომპოზიტები. **კომპოზიტები** იგივეა, რაც **კომპოზიტური მასალა**, მაშასადამე, როგორც ითქვა, ეს არის ხელოვნურად შექმნილი მყარი მასალა, რომელიც შედგება ორი ან მეტი კომპონენტისაგან, რომლებიც ზუსტი საზღვრებითაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ამდენად, **კომპოზიტი** – ახალი მასალა, უფრო გვიან შეიქმნა, ვიდრე **კომპოზიცია** არსებობდა, ანუ ლითონის შენადნობი. სწორედ ამ ახალი მასალის გამომხატველი ტერმინია **კომპოზიტი**, რომლისგანაც ნაწარმოებია **კომპოზიტური**. ჩანს, ენაში ეს ორივე ტერმინი – **კომპოზიციური** და **კომპოზიტური** – ერთმანეთის გვერდით არსებობდა, როგორც სინონიმები. ამ პროცესს ხელი შეუწყო ინგლისურმა ენამ, სადაც ფორმა **composite** აღნიშნავს როგორც კომპოზიციურს, ისე კომპოზიტურს.

როგორც ვხედავთ, ეს ორი ზედსართავი – **კომპოზიციური** და **კომპოზიტური** – ფორმობრივად ძალზე ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ სხვადასხვა სახელიდან მომდინარეობენ და შინაარსიც განსხვავებული აქვთ. ამდენად, აუცილებელია მათი გამიჯვნა. დასახელებული ზედსართავი სახელები პარონიმულ წყვილს წარმოადგენს – ლექსიკონებსა თუ სამეცნიერო ლიტერატურაში მათი ხშირი აღრევის გამო. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში წარმოდგენილი ტერმინოლოგიური შესიტყვება **კომპოზიციური მასალა** განმარტებულია არა როგორც ლითონის შენადნობი, არამედ „საკონსტრუქციო მასალა, განსაკუთრებული კლასი ლითონური ან არალითონური მასალისა,

რომლის მატრიცაში (ფუძეში) განსაზღვრული წესით წინასწარ არის განლაგებული განმამტკიცებლები (ბოჭკოები, დისპერსიული ნაწილაკები, ძაფისებრი კრისტალები და სხვ.)...“ ბუნებრივია, ენციკლოპედიაში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო **კომპოზიტური მასალა** და არა **კომპოზიციური მასალა**.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ზედსართავები **კომპოზიციური** და **კომპოზიტური** პარონიმებია და, რასაკვირველია, ისინი უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან მნიშვნელობის თვალსაზრისით: თუ მასალა ლითონის შერევით მიიღება და ერთ მთლიან მასას წარმოადგენს, ის უნდა აღინიშნოს სიტყვით **კომპოზიციური**, **კომპოზიტური** კი კომპოზიტებისგან შედგენილს გამოხატავს, რომელიც ძირითადად ფენებისგან შედგება. სამაგალითოდ წარმოვადგენთ ორ ტერმინოლოგიურ შესიტყვებას – **კომპოზიციური კოჭი** და **კომპოზიტური სვეტი**. აღსანიშნავია, რომ ორივე შესიტყვება სწორია, რადგან **კომპოზიციური კოჭი** სხვადასხვა ლითონისგანაა შექმნილი, ხოლო **კომპოზიტური სვეტი** გულისხმობს კომპოზიტებისგან შედგენილ სვეტს.

## ლიტერატურა

**მეტალურგიული ტერმინების ლექსიკონი**, თბილისი, 2011.

**სამშენებლო განმარტებითი ლექსიკონი**, თბილისი, 2015.

**ტექნიკური ტერმინოლოგია**, თბილისი, 1977.

**ქართული საბჭოთა ენციკლოპედია**, V, თბილისი, 1980.

**ქიმიური ლექსიკონი**, თბილისი, 2004.

**შურამე 1999** – ო. შურამე, მეტალურგიის ტერმინოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

**შურამე 2008** – ო. შურამე, არაორგანული მასალათმცოდნეობისა და მეტალურგიის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.

## წყაროები

ქართული ენის ვებკორპუსი, Ka Wac.

Marina Osadze

**On the Terms *kompoziciuri* “Compositional” and  
*kompozituri* “Composite”**

Summary

The issues of the linguistic adaptation of adjectives with the foreign origin have been studied in the Georgian language very well but still there are separate cases that need to be researched thoroughly. The morphological representation and the specification of the meanings of words that have similar forms are especially noteworthy.

The paper deals with the borrowed adjectives **kompoziciuri** “compositional” and **kompozituri** “composite”. According to the material of the scientific literature and terminological dictionaries these two adjectives are paronyms as they are often confused in dictionaries as well as in the scientific literature. These adjectives have different meanings, in particular, **kompoziciuri** denotes alloy of different metals while **kompozituri** denotes artificially composed heterologous solid material comprising two or more components.